ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი. 19 მაისი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა N157

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით სოციალური ჭრებით არაკომერციული მიზნით მოსახლეობაზე გასაცემი I ხარისხის ხეზე მოთხოვნილი რესურსის დასაბუთებულობის შესწავლის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27^{1}–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 27^{11}–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების I თავის მე–5 მუხლის ,,რ" პუნქტის, მე–6 მუხლის პირველი პუნქტის, ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის შესაბამისად:

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით სოციალური ჭრებით არაკომერციული მიზნით მოსახლეობაზე გასაცემი I ხარისხის ხეზე მოთხოვნილი რესურსის დასაბუთებულობის შესწავლის მიზნით შეიქმნას კომისია (შემდგომში ,,კომისია") შემდეგი შემადგენლობით:
   1.1. კობა ქანთარია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
   1.2. გელა სვირავა - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
   1.3. აკაკი სარალიძე - - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
   1.4. მაკა ფიფია - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - კომისიის წევრი;
   1.5. ნატალია პაპსკირი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში - კომისიის წევრი.

2. კომისიამ თავისი საქმიანობისას იხელმძღვანელოს ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად;

3. ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით არაკომერციული მიზნით ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაცემი I ხარისხის ხეზე

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ტელ.: 0 (415) 25 00 04, ფაქსი: 0 (415) 25 05 05.

წლიური ზღვრული მოცულობის სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ (შემდგომში ,,მართვის ორგანო“) გამოყოფის შემდგომ მოხდეს მოსახლეობაზე გაცემა;

4. წინამდებარე განკარგულების მე-3 პუნქტში აღნიშნული დადგენილების მე-10 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად გაეწიოს მოსახლეობას შუამდგომლობა წლიური ზღვრული მოცულობის მართვის ორგანოს მიერ გამოყოფამდე გადაუდებელი აუცილებლობისას (ხანძარი, სტიქიური უბედურება ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები);

5. აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტების გამგებლებმა და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერმა მათი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მიერ მართვის ორგანოში შუამდგომლობის გაწევის მიზნით წარმოადგინონ:
   5.1. წერილობითი მომართვა თითოეული მოქალაქის სახელის, გვარის, პირადი ნომრის და მოქალაქისათვის გასაცემი I ხარისხის ხის სახეობისა და მოცულობის მითითებით;
   5.2. კომისიის შესაბამისი დასკვნა და ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები;
   5.3. დაინტერესებული პირის (მოქალაქის) განცხადება და პირადობის მოწმობის ასლი;
   5.4. ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებებით გამოწვეულ შემთხვევებში ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაცემული იქნება ასეთი დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს ან/და სამსახურის მიერ, რაც დადასტურებული იქნება ხელმოწერით ამ დოკუმენტზე ფაქტის ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

6. კონტროლს განკარგულების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

7. დაევალოს კომისიას უზრუნველყოს თითოეული კონკრეტული მოთხოვნილი რესურსის დასაბუთებულობის შესწავლა, მიიღოს შესაბამისი დასკვნა, რათა დაზუსტებული შუამდგომლობა წარდგენილ იქნეს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მიერ მართვის ორგანოში კომისიის დასკვნასთან და ყველა სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად;

8. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტების გამგებლებს და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერს;

9. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაიცული კოდექსის“ 180–ე მუხლის I ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამაართლოში, მის: ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.

ლევან შონია
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი